

არაპირდაპირი ზიანი, სარჩელის დასაშვებობა, ინდ. აქტის მიმართ კანონიერი ნდობა

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ფაბულა

2023 წლის ივნისში აღძრული სარჩელით მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს საკუთარი სახელით პირადად მისთვის, როგორც ფიზიკური პირისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც, მისი აზრით, მიადგა მოპასუხე სააქციო საზოგადოების (შემდგომში: მოპასუხე) შვილობილის შვილობილი კომპანიის, კომპანია „ალფას“ (შემდგომში: „ალფა“), ქმედებების შედეგად. მოსარჩელის მტკიცებით, მას ზიანი მიადგა იპოთეკარი „ალფას“ მიერ, აუქციონის წესების დარღვევით სს „ბეტას“ (შემდგომში: „ბეტა“) აქტივების რეალიზაციის შედეგად, რამაც გამოიწვია ამ კომპანიის გაკოტრება და, საბოლოო ჯამში, ლიკვიდაცია. აღნიშნული რეალიზაცია განხორციელდა 2016 წელს.

მოსარჩელე მიიჩნევს, რადგან „ბეტა“ არის იმ შპს-ის („მოსარჩელის კომპანია“) შვილობილი, რომელშიც ჰქონდა 100%-იანი წილი მოსარჩელეს და მისმა გაკოტრებამ გააუფასურა ამ შვილობილ კომპანიაში წილის ღირებულება, ამით მას, როგორც „ბენეფიციარ მესაკუთრეს“ მიადგა ზიანი, რომელიც მოპასუხის კუთვნილი კომპანიების გავლით, საბოლოოდ, მოგების სახით, ამ მოპასუხესთან დაიღეჭა. „ალფას“ ქმედებების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ ასევე მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსაც.



2020 წელს კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილება, დავაზე (რომელიც 2016 წელსვე დაიწყო), მოსარჩელის კომპანიასა (მოსარჩელე მხარე) და მოპასუხის შვილობილსა და შვილობილის შვილობილ კომპანიებს (მეორე მხარე) შორის, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის კომპანიას არ ჰქონდა მოთხოვნები „ალფას“ მიმართ, იმ ქმედებებიდან

გამომდინარე, რომლებიც უკავშირდებოდა „ალფას“ მიერ „ბეტას“ კუთვნილი ქონების აუქციონზე რეალიზაციას. „მოსარჩელის კომპანიის“ მოთხოვნა სასამართლომ უარყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას, როგორც „ბეტას“ მხოლოდ პარტნიორს („ბეტაში“ წილის მფლობელს), არ მიაღდა პირდაპირი ზიანი, არამედ ასევე იმის გამო, რომ ვერ ამოიკითხა „ალფას“ ქმედებებში არამართლზომიერი ქმედების ნიშნები.

მოსარჩელე მოპასუხის წინააღმდეგ (რომელიც გერმანიაში დაარსებული კომპანიაა) 2019 წლიდან უკვე აწარმოებდა დავას, თუმცა გერმანულმა სასამართლომ მისი სარჩელი განუხილველად დატოვა ადვოკატის ხარჯების წინასწარი უზრუნველყოფის წარუდგენლობის გამო.

გარდა სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელის შეტანისა, მოსარჩელემ 2022 წელს განცხადებით მიმართა „ეროვნულ მაკონტროლებელს“ („ალფას“ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიული პირს) და მოსთხოვა მას შეემოწმებინა „ალფას“ ქმედებების მართლზომიერება, უფრო ზუსტად კი, იყო რა მოსარჩელე ამ ქმედებების არამართლზომიერებაში დარწმუნებული, „ეროვნული მაკონტროლებლისაგან“ ითხოვდა „ალფას“ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებას.

თავის მხრივ, „ალფა“, „ბეტას“ აქტივების რეალიზაციისას, მოქმედებდა „ეროვნული მაკონტროლებლის“ ნებართვით – ატყობინებდა მას ზუსტ ინფორმაციას, როგორც ამ პროცესის მიმდინარეობას, ასევე, შედეგებს და პერიოდულად იღებდა მისგან შესაბამის წერილობით „დასტურს“ განხორციელებული ქმედებების „სისწორესთან“ დაკავშირებით; მოგვიანებით, აწვდიდა მას წლიურ ანგარიშებს და იღებდა ქონების რეალიზაციიდან ამონაგების განკარგვასთან დაკავშირებულ მითითებებს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა! ქართული სასამართლოს განსჯადობა დადგენილია.

კაზუსის ამოხსნა

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.....	49
1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა.....	50
ა) არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა	50
ბ) მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედებების შერაცხვის შეუძლებლობა	51
2. მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოპასუხის წინააღმდეგ	52
II. სარჩელების უპერსპექტივობა	53
1. ხანდაზმულობა	53
2. სასარჩელო მოთხოვნების იდენტიფიკაცია	54
IV. „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“ მიმართვა.....	55
1. სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიის დაუშვებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.....	56
2. მოსარჩელე, როგორც არაუფლებამოსილი განმცხადებელი	56
3. „ალფას“ კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მოქმედებების მიმართ	57
ა) კანონიერი ნდობა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.....	57

ბ) კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და კონსულტაციის საფუძველზე.....	58
გ) „პასიური თმენა“ როგორც კანონიერი ნდობის განმაპირობებელი	59

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

მოსარჩელის ფაქტობრივ მოთხოვნას, „ბეტას“ აქტივების ან მათი ღირებულების დაბრუნებასთან დაკავშირებით, სამართლებრივად შეიძლება შეესაბამებოდეს დელიქტური ან სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ან უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი (კონდიქციური) მოთხოვნა. თუმცა, შესაძლებელია, იმ დაშვებითაც, რომ „ალფას“ მიერ „ბეტას“ აქტივების რეალიზაციით მისი მხრიდან ამ ხსენებული მოთხოვნების წინაპირობები შესრულდა

(მართლსაწინააღმდეგო ზიანის მიყენება, ვალდებულების დარღვევა, ქონებრივი სიკეთის უსაფუძვლოდ მოპოვება), ყველა ეს მოთხოვნა მხოლოდ „ბეტას“ ჰქონდეს, რომელიც ამჟამად უკვე ლიკვიდირებულია და შესაბამისად, ვეღარ იქნება სამართალურთიერთობის სუბიექტი და ვეღარ წარადგენს შესაბამის მოთხოვნებს,¹ ხოლო მოსარჩელე კი – არ არის შესაბამისი მოთხოვნების მფლობელი.

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამო-რიცხვა

მოსარჩელის ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნა მოპასუხის მიმართ შეიძლება გამოირიცხოს იყოს იმ საფუძვლით, რომ მას პირდაპირი ზიანი არ მისდგომია, ხოლო არაპირდაპირი ზიანი კი არ არის ანაზღაურებადი. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კონკრეტული პირის მიმართ არ არსებობს ასევე მაშინაც, როდესაც ზიანის უშუალო მიმყენებელი სხვა პირია, რომლის ქმედებაც არ შეერაცხება მოთხოვნის ადრესატს.

ა) არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა

ვინაიდან, ფაბულის მიხედვით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა, მოსარჩელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ დელიქტიდან, უფრო ზუსტად კი, სკ-ის 992-ე მუხლიდან. თუმცა, ეს მოთხოვნა გამორიცხული იქნება, თუ აქ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებაა მოთხოვნილი.

დელიქტური პასუხისმგებლობის სტრუქტურა პირდაპირ გამორიცხავს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას. დელიქტურ სამართალში სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით ანაზღაურდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული

ზიანი, მართლსაწინააღმდეგობა კი მაშინ არის სახეზე, თუ მოხდა აბსოლუტური უფლების ხელყოფა, როგორც არის საკუთრება და სხვა საწინააღმდეგო უფლებები და ა. შ. ან დამცავი ნორმის დარღვევა ან განზრახ ამორალურად ზიანის მიყენება. ყველა სხვა შემთხვევაში ზიანი განეკუთვნება ე. წ. „სუფთა“ ქონებრივ ზიანს, რომელიც არ ანაზღაურდება.²

აქ აბსოლუტური სიკეთე ხელყოფილი არ არის. წილის ღირებულების შემცირება არ არის იდენტური წილიდან, როგორც უფლებებისა და ვალდებულებების ნაკრებიდან, გამომდინარე აბსოლუტური უფლებების ხელყოფისა. მესაკუთრეს ან წილის მფლობელს არ აქვს აბსოლუტური უფლება იმისა, რომ მისი უფლების ობიექტი ყოველთვის შეინარჩუნებს შესაბამის ღირებულებას. გაუფასურება წარმოადგენს ქონებრივ ზიანს, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, თუ იარსებებდა დამცავი ნორმა, რაც აქ სახეზე არ არის.

ამგვარად, ე.წ. „ბენეფიციარ მესაკუთრეს“, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივად მესაკუთრე არ არის და არის მხოლოდ ეკონომიკური მოსარგებლე/ბენეფიციარი კომპანიის მოგებიდან, კომპანიისათვის ზიანის მიყენებით განიცდის მხოლოდ არაპირდაპირ ზიანს და ვერ ექნება ამ ზიანის მომყენებლის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინაც კი, თუ „აღფას“ მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ექნებოდა ადგილი. უარყო რა სასამართლომ უკვე „მოსარჩელის კომპანიის“ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამ არაპირდაპირობის მიზეზით, მით უფრო მოქმედებს ეს მოსარჩელის მიმართ, რომელიც ეკონომიკურ ბენეფიციართა ჯგუფში „მოსარჩელის კომპანიის“ შემდგომ მოდის და მით უფრო დაშორებულია პირდაპირ დაზიანებულ კომპანიას.

ამგვარად, მოსარჩელე აქ აპელირებს არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც პრინციპულად (ზოგადად) არაანაზღაურებადი.

¹ მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ერთადერთი შემთხვევა (90-ე მუხლი), როდესაც ლიკვიდაციის პროცესის განახლებაა შესაძლებელი, ამ შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე.

² რუსიაშვილი, არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნა და მისი გამორიცხვა (1-2 ნაწილები), შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020, 45-51, შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020, 26-36 და იქ მითითებული ლიტერატურა.

ბ) მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედებების შერაცხვის შეუძლებლობა

გარდა იმისა, რომ მოსარჩელე აქ ითხოვს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას (რაც არა-ანაზღაურებადია), მისი მოთხოვნა შეიძლება გამორიცხული იყო ასევე იმ საფუძველით, რომ დელიქტი ჩაიდინა სხვა პირმა („ალფამ“), რომლის ქმედებაც მოპასუხეს არ შეერაცხება.

ერთადერთი შესაძლებლობა, რომ მოპასუხემ, რომელსაც პირდაპირ არ განუხორციელებია არც ერთი ის ქმედება, რომლის გამოც „ბეტამ“ დაკარგა თავისი აქტივები, პასუხი აგოს ამ ქმედებებისათვის, არის მისთვის ამ ქმედებების შერაცხვა – მოპასუხეს უნდა შეერაცხებოდეს „ალფას“ მიერ განხორციელებული ქმედებები.

სამოქალაქო კოდექსში არის სამი ძირითადი დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს ერთი პირის მიერ განხორციელებული ზიანის მიმყენებელი ქმედებები შერაცხვას სხვა პირისათვის, ანუ იმას, რომ ერთმა პირმა, მეორე პირის მიერ გამოწვეული ზიანისათვის აგოს პასუხი. ეს ეხება იურიდიულ პირებსაც. მოცემული ნორმებია სკ-ის 37 I, 396-ე და 997-ე მუხლები. „ალფას“ ქმედებების მოპასუხისათვის შერაცხვა სკ-ის 396-ე მუხლის მიხედვით აქ თავიდანვე გამორიცხულია, რადგან „ალფა“ არ წარმოადგენდა მოპასუხის „შესრულების დამხმარეს“ (Erfüllungshilfe) ამ დანაწესის გაგებით.

რაც შეეხება შერაცხვას სკ-ის 37 I მუხლის მიხედვით, ამ დანაწესის თანახმად, იურიდიულ პირს ე. წ. „შიდა ორგანოების“ (მაგ., სამეთვალყურეო საბჭო), რომლებიც უშუალოდ არ ახორციელებენ წარმომადგენლობით-ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას, მიერ ჩადენილი ქმედება შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორგანო ან მისი წევრები, გამონაკლისის სახით, ახორციელებენ გარე ურთიერთობაში ეფექტის მქონე ქმედებებს (მაგ., იღებენ დადგენილებას, რომელიც მესამე პირის პატივს ხელყოფს და ამით აზიანებს მას).³ მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ „ალფას“

მოქმედებების შესახებ ინფორმაციის ქონა საერთოდ ვერ ჩაითვლება ქმედებად (გამონაკლისი: შეტყობინების ვალდებულების არსებობა), მით უფრო ამგვარ, „გარე ურთიერთობაში ეფექტის მქონე“ ქმედებად.

საკამათო სასამართლო პრაქტიკის თანახმად⁴, კონცერნის შემთხვევაში, შვილობილი საზოგადოება, თეორიულად, შეიძლება ჩაითვალოს დედობილი კონცერნის მუშაკად. თუმცა ფაბუ-ლიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის „ალფას“ ქმედების შერაცხვა სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მისი ორმაგი გამოყენებით. კერძოდ: თუ „ალფას“ დელიქტი შეერაცხებოდა მოპასუხის შვილობილ კომპანიას, ხოლო ამ შვილობილი კომპანიის დელიქტი შეერაცხებოდა თავად მოპასუხეს. მაგრამ თავად სკ-ის 997-ე მუხლი, უფრო ზუსტად კი, მისი მეორე წინადადება გამორიცხავს ამგვარი „ორმაგი შერაცხვის“ შესაძლებლობას. სკ-ის 997 2 მუხლის მიხედვით, პირველი წინადადებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება, ანუ, არ ხდება მუშაკის დელიქტის შერაცხვა, თუ საქმე ეხება ამ მუშაკის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას (მაგ., სკ-ის 999-ე და მომდევნო მუხლები). მაგრამ სკ-ის 997-ე მუხლი თავად არის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საფუძველი – მეპატრონე მუშაკის დელიქტისათვის პასუხს აგებს ბრალის გარეშე (უმნიშვნელოა, მიუძღვის თუ არა მეპატრონეს ბრალი მუშაკის შერჩევაში და ა. შ.). შესაბამისად, სკ-ის 997 2 მუხლი გამორიცხავს რა ბრალის გარეშე დელიქტის შერაცხვის შესაძლებლობას, გამორიცხავს, ასევე, თავად სკ-ის 997 1 მუხლის მიხედვით დაფუძნებული პასუხისმგებლობის მეპატრონის მეპატრონისათვის შერაცხვის შესაძლებლობას – სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით მუშაკისათვის შერაცხული (მუშაკის) მუშაკის დელიქტი ვერ იქნება ის დელიქტი, რომელიც მეპატრონეს შეერაცხება სკ-ის 997 1 მუხლის მიხედვით.

ამგვარად, მოსარჩელეს მოპასუხის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვერ ექნება, პირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ ეს არის

³ MüKoBGB/Leuschner, 8. Aufl. 2018, BGB § 31 Rn. 19.

⁴ BGH GRUR 2012, 1279; OLG Düsseldorf GRUR-RR 2013, 274, იხ. საპირისპირო მოსაზრება: MüKoBGB/Wagner, 8. Aufl. 2020, BGB § 831 Rn. 17.

არაანაზღაურებადი არაპირდაპირი ზიანი და, გარდა ამისა, მას არ შეეარაცება “ალფას” ქმედებები.

2. მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოპასუხის წინააღმდეგ

საკითხავია, შეუძლია თუ არა მოსარჩელეს მოპასუხისაგან მოითხოვოს მისი შვილობილის შვილობილი კომპანიის („ბეტას“) გაკოტრებით მიღებული შემოსავალი ხელყოფის კონდიქციით, სკ-ის 982 I მუხლი.

ხელყოფის კონდიქციის აუცილებელი წინაპირობაა ხელყოფის „სხვის ხარჯზე“⁵ (კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე) განხორციელება, რა შემთხვევაშიც გადამწყვეტია არა ქმედება (და მისი მართლსაწინააღმდეგობა), არამედ ხელყოფილი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ, მისი დაცვითი სფერო და ფარგლები: აკუთვნება თუ არა მართლწესრიგი კონდიქციის კრედიტორს ამ (ხელყოფილ) სამართლებრივ პოზიციას ექსკლუზიური განკარგვა-გამოყენების უფლებით (ე.წ. მიკუთვნებული სამართლებრივი

სფეროს თეორია – *Zuweisungstheorie*).⁶ ამ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმებია: 1. აკუთვნება თუ არა კანონი ამ პოზიციას კონდიქციის კრედიტორს (სანივთო (170 I) ან ვალდებულებითი ძალით); 2. ფლობს თუ არა კრედიტორი ამ პოზიციის გამოყენების, გასხვისების ან სხვა გზით სასყიდლის მიღების შესაძლებლობას (სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული რეალიზაციის შესაძლებლობა);⁷ 3. აქვს თუ არა კრედიტორს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ხელშეშლის აღკვეთა;⁸ 4. ამ კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა დელიქტური წესით.⁹ ამგვარად, ხელყოფის კონდიქციით შეიძლება მხოლოდ იმ ქონებრივი სარგებლის უკუმოთხოვნა, რომელიც პირმა მოიპოვა სხვა პირის სამართლებრივი პოზიციის ხელყოფისა და ამ პოზიციის მისთვის მიკუთვნებული რეალიზაციის მონოპოლიის მითვისებით. აუცილებელია, რომ დაცული სამართლებრივი პოზიცია უფლებამოსილ პირს ანიჭებდეს მესამე პირთათვის მისი გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას. მხოლოდ ნივთის მოპოვებისა და მოგების მიღების შანსი საკმარისი არ არის.¹⁰

⁵ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; BGHZ 94, 165; BGHZ 99, 390.

⁶ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; BGH NJW 1982, 1155; Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 23; Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 709.

⁷ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 71; Hüffer, Die Eingriffskondiktion, JuS 1981, 265; Lorenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 d; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 248; Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 7 III 2 c, § 7 III 2 d.

⁸ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; Kleinheyer, Rechtsgutsverwendung und Bereicherungsausgleich, JZ 1970, 471.

⁹ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; Lorenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 c.

¹⁰ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 72; BGHZ 107, 117: მაგალითად, დამქირავებელი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებით არ ხელყოფს დამქირავებლის სამართლებრივ პოზიციებს, არ აკარგვინებს მას ნივთის რეალიზაცია-გამოყენების რაიმე დამატებით შესაძლებლობას,

რომელიც უკვე არ ექნებოდა გაცემული ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში (Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 2 a; Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 266; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 255) – მას აღარ ჰქონდა უკვე გაქირავებული საგნის კიდევ ერთხელ გაქირავების უფლება. არაუფლებამოსილი მესამე პირის მიერ დამქირავებლის ოთახებით სარგებლობის შემთხვევაში მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ დამქირავებელს და არა დამქირავებელ მესაკუთრეს (რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 97). ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია ის გარემოება, თუ ვის აკუთვნება მართლწესრიგი ქონებრივი პოზიციის რეალიზაციის უფლებას, რაც წარმოადგენს კონდიქციის კრედიტორის იდენტიფიცირების საშუალებას. თუ პირი იყენებს იმ ცოდნას, რომელიც არ არის დაცული სპეციალური საწარმოო უფლებებით, აღიარებულია შესაბამისი საჯარო პროცედურის დაცვით და ამგვარად გასაჯაროებული და ზოგადად ხელმისაწვდომია, სახეზე არ არის იმ პირისათვის მიკუთვნებული უფლების სფეროში ჩარევა, რომელმაც მოიპოვა ეს ცოდნა საკუთარი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში.¹⁰ მხოლოდ ვალდებულებითი მოთხოვნის უფლება საგნის დაბრუნებასთან და გამოთხოვასთან დაკავშირებით არ აკუთვნება ამ საგანს უფლებამოსილ პირს, რის გამოც ამ საგნის განკარგვა (რაც აკარგვინებს უფლებამოსილ პირს შესაბამის მოთხოვნას) არ წარმოადგენს ამ პირის ქონების ხელყოფას მისთვის მიკუთვნებულ სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის გზით (BGH NJW 1993, 1919).

აქ „აღფას“ „ბეტას“ აქტივების რეალიზაციით არ ხელუყვია მოსარჩელის არც ერთი აბსოლუტური თუ მასთან გათანაბრებული სიკეთე, რომელსაც მართლწესრიგი მას მიანიჭებდა „მიკუთვნიებული სამართლებრივი სფეროს“ გაგებით. „ბენეფიციარი მესაკუთრეობა“, რომელზეც აპელირებდა მოსარჩელე, სამოქალაქო სამართლის გაგებით, არ წარმოადგენს არც საკუთრებას და არც რაიმე სხვა ხელყოფაუნარიან პოზიციას, რომელშიც მეორე პირის მხრიდან ჩარევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეიძლება მიენიჭოს კონდიქცია. ბენეფიციარობა ეს არის მხოლოდ იმ ფაქტის კონსტანტაცია, რომ ერთი პირი მეორის ქონებიდან იღებს რაიმე სარგებელს – მაგალითად შვილი მამის ქონებიდან ალიმენტის სახით – თუმცა ეს მას საერთოდ არ ანიჭებს უფლებას, ამ ქონების შემცირების შემთხვევაში, მოსთხოვოს ამის გამომწვევ პირს რაიმე ტიპის კომპენსაცია, რადგან ეს უშუალოდ ქონების მფლობელის საქმეა და არა ამ არაპირდაპირად მოსარგებლის, რომლის (აბსოლუტური ან მათთან გათანაბრებული) უფლებებიც (რომელიც, აპრიორი ვერ ექნება მას ამ სხვა პირის ქონებაზე) ამ შემთხვევაში ხელყოფილი არ არის.

ამგვარად, მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნა „აღფას“ წინააღმდეგ გამორიცხულია „მიკუთვნიებულ სამართლებრივ სფეროში“ ჩარევის არარსებობის გამო.

II. სარჩელების უპერსპექტივობა

მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მისი მატერიალურ-სამართლებრივად დასაბუთება შეუძლებელია (იხ. ზემოთ), შეიძლება იყოს ხანდაზმული და, გარდა ამისა, წარმოადგენდეს *res iudicata*-ს (სასამართლოს მიერ უკვე განსჯილ საქმეს) და იყოს დაუშვებელი.

1. ხანდაზმულობა

მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ამ ტიპის კონსტელაციაში დავის განახლება, საერთაშორისო კერძო სამართლის წესების მიხედვით,

ზოგადად და თეორიულად შეიძლება დასაშვებ იყოს, ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც გამორიცხულია.

პირველ რიგში, ქართული სამართლის მიხედვით (რომლის პრინციპებიც ამ შემთხვევაში გადაწყვეტი იქნება), სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვება, მოსარჩელის მხრიდან უზრუნველყოფის წარუდგენლობის გამო, პროცესუალურად წარმოადგენს სარჩელის გატანის შემთხვევას.¹¹ ზოგადად, მოსარჩელეს სარჩელის გატანის შემდეგ, მხოლოდ მაშინ შეუძლია მისი თავიდან შემოტანა, თუ ეს გატანა არ განიმარტება სარჩელზე უარის თქმად.

მაშინაც, თუ ქართული სასამართლო ორივე ხსენებულ ბარიერს გადალახულად ჩათვლის, მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ შეიძლება ხანდაზმული იყოს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხის წინააღმდეგ აყენებს დელიქტურ მოთხოვნას, რომლის ხანდაზმულობის ვადა სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით არის 3 წელი. აქ მოსარჩელე მისი დელიქტური მოთხოვნის დამფუძნებელ გარემოებებზე მიიჩნევდა „აღფას“ მიერ 2016 წელს განხორციელებულ ქმედებებს, რომლებმაც მას ზიანი მიაყენა. სკ-ის 130 I 2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მას შემდეგ, რაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, თუმცა შეტყობის ქვეშ არ იგულისხმება მოთხოვნის დამფუძნებელი ქმედების დეტალების შეტყობა, არამედ ზოგადი ცოდნის მოპოვება ამ მოთხოვნის განმაპირობებელ გარემოებებთან დაკავშირებით. კონკრეტული დელიქტური მოთხოვნის შემთხვევაში ეს გულისხმობს მოსარჩელის მიერ იმ ფაქტის გაცნობიერებას (ან გაცნობიერების სავალდებულობას), რომ „აღფამ“ განახორციელა ქმედებები, რის შემდეგაც მოსარჩელის კომპანიის შვილობილმა კომპანიამ დაკარგა ქონება და თუნდაც ჰიპოთეტურად „აღფას“ ქმედებები შეიძლება არ ყოფილიყო მართლზომიერი.

ეს მოსარჩელეს, სულ მცირე, „უნდა სცოდნოდა“ დაუყოვნებლივ, „აღფას“ მხრიდან ამ ქმედებების განხორციელებისთანავე – შპს „ბეტას“ კუთვნილი ქონების აუქციონზე გატანისთანავე

¹¹ MÜKoZPO/Schulz, 6. Aufl. 2020, ZPO § 110 Rn. 40.

– გამომდინარე იქიდან, რომ აუქციონის შესახებ დეტალები საჯარო იყო და 2016 წლიდან მოყოლებული „მოსარჩელის კომპანია“ აწარმოებდა სასამართლო დავას (რომლის შესახებაც, მოსარჩელესაც, როგორც პარტნიორს, უნდა სცოდნოდა). გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წელს უკვე თავად მოსარჩელემ დაიწყო დავა გერმანულ სასამართლოში ისე, რომ შუალედში (2016 წლის შემდეგ) მის მიერ რაიმე ახალი ცოდნის მოპოვების ფაქტი არ ჩანს, ის ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა 2016-სა და 2019 წლებში, საკმარისი იყო სარჩელის შეტანისთვის და ამავდროულად სრულებით საკმარისი იყო სკ-ის 130 I 2 მუხლის გაგებით „შეტყობის“ ფაქტის არსებობისათვის.

ამგვარად, მოსარჩელის დელიქტური მოთხოვნისათვის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლიდან და 2023 წლისათვის ის ნებისმიერ შემთხვევაში ხანდაზმულია.

გერმანულ სასამართლოში სარჩელის შეტანით მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა. მართალია, უცხოური სასამართლოს წინაშე სარჩელის წარდგენამ შეიძლება შეაჩეროს ასევე ნაციონალური სამართლის მიხედვით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა (თუ ეს უცხოური სასამართლო პირდაპირ და ცალსახად არ არის არაგანსჯადი), თუმცა გერმანულმა სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა, რა შემთხვევაშიც, სკ-ის 140 I მუხლის მიხედვით, სარჩელის შეტანა არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენაზე. ამ ვადის დენა გრძელდება შეუწყვეტლად. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირი სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვეში შეიტანს ახალ სარჩელს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან (სკ-ის 140 II მუხლი). მოსარჩელეს ეს აქ არ გაუკეთებია. შესაბამისად, მას სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გამოუსწორებლად აქვს გაშვებული.

2. სასარჩელო მოთხოვნების იდენტურობა

სსკ-ის 272 ბ) მუხლის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს წარმოებაში ან მიღების შემთხ-

ვევაში შეწყვეტს წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით (*res iudicata* – “ერთხელ განსჯილი საქმის განმეორებით განსჯის აკრძალვა”, *ne bis in idem*-პრინციპი).

მოცემულ შემთხვევაში, უკვე კანონიერ ძალაშია შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს, რომ „ალფას“ ქმედებებში არც მართლწინააღმდეგობა (დელიქტური მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობა) და არც ვალდებულების დარღვევა (სახელშეკრულებო მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობა) არ იკითხებოდა. კერძოდ: ფაბულის თანახმად, 2020 წლამდე მიმდინარეობდა დავა „მოსარჩელის კომპანიასა“ (კომპანია, რომელშიც აქვს წილი მოსარჩელეს) და „ალფას“ შორის. ამ დავაზე სასამართლომ დაადგინა, რომ „მოსარჩელის კომპანიას“ არ ჰქონდა მოთხოვნა „ალფას“ მიმართ, იმ ქმედებებიდან გამომდინარე, რომლებიც უკავშირდებოდა „ალფას“ მიერ „მოსარჩელის კომპანიის“ კუთვნილი კომპანიის „ბეტას“ აქტივების რეალიზაციას აუქციონზე. „მოსარჩელის კომპანიის“ მოთხოვნა სასამართლომ უარყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას, როგორც „ბეტას“ დედობილის პარტნიორს, არ მიაღწა პირდაპირი ზიანი (იხ. ზემოთ), არამედ ასევე იმის გამო, რომ ვერ ამოიკითხა „ალფას“ ქმედებებში არამართლზომიერების ნიშნები. ანუ, ამგვარად, დავა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა „ალფას“ მიერ „ბეტას“ ქონების რეალიზაცია არამართლზომიერი უკვე გადაწყვეტილია და დადგენილია, რომ არამართლზომიერ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ერთი შეხედვით, დავა, რომლის პერსპექტივასაც აყენებს მოსარჩელე, იქნება არა იმავე სუბიექტებს შორის („მოსარჩელის კომპანია“ vs „ალფა“), არამედ ყოფილი მოსარჩელე კომპანიის დედობილსა და მოპასუხის დედობილის დედობილ კომპანიას შორის. თუმცა, სამართლებრივად ეს განსხვავება უმნიშვნელოა და აქ მაინც დავის საგნის იდენტურობა გვაქვს სახეზე. კერძოდ, მოსარჩელე მოპასუხის მიმართ ჩივილს აპირებს არა „საკუთარი უფლებიდან“, ანუ, არა

უშუალოდ მისთვის მიყენებული ზიანის გამო, არამედ, იმის გამო, რომ „ალფამ“ ზიანი მიაყენა კომპანიას, რომელშიც ის მონაწილეობდა და ამ კომპანიის დაზიანების გავლით ზიანი მიადგა ასევე მოსარჩელეს. იგივე სიტუაციაა მეორე მხარესაც: მოპასუხის პასუხისმგებლობას ის ამყარებს არა უშუალოდ მოპასუხის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, არამედ „ალფას“ ქმედებებს, რომელიც, მისი აზრით, შეერაცხება მოპასუხეს. ამ სარჩელის შემთხვევაში რეალურად არ გვექნება სახეზე სუბიექტთა ცვლილება „მოსარჩელის კომპანიასა“ და „ალფას“ შორის დავასთან შედარებით, ზუსტად ისევე, როგორც სუბიექტთა მხოლოდ ფორმალური ცვლილებით შეუძლებელია სსკ-ის 272 ბ) მუხლით დადგენილი ბარიერის გადალახვა. მაგალითად, ქართული სასამართლოს მყარად დადგენილი და სწორი პრაქტიკაა, რომ თუ მოსარჩელე მოპასუხის მიმართ დავის წაგების შემდეგ მოთხოვნას დაუთმობს სხვა პირს, ამ სხვა პირსა და მოპასუხეს შორის დავაც *res iudicata*-ს წარმოადგენს და სასამართლომ ის არ უნდა მიიღოს წარმოებაში. ზუსტად ასევეა მოსარჩელესთან ერთად, ასევე მხოლოდ ფორმალურად, მოპასუხეც რომ შეიცვალოს, მაგალითად, სადავო უფლება თავდაპირველი მოპასუხისაგან მის მემკვიდრეზე გადავიდეს. ამ შემთხვევაში სახეზეა არა ახალი დავა, ახალ სუბიექტებს შორის, არამედ თავდაპირველი სუბიექტების უფლებიდან ნაწარმოები დავა და თუ სასამართლოს უკვე დადგენილი აქვს, რომ ეს უფლება არ არსებობს, მასზე თავიდან აღარ უნდა იმსჯელოს – მხოლოდ ამ სუბიექტთა ფორმალური ცვლილება ამ უფლებას „ვერ გააცოცხლებს“. დავა არის უკვე გადაწყვეტილი. ზუსტად იგივე სიტუაცია გვაქვს ამ შემთხვევაშიც: ქართულმა სასამართლომ უკვე უარყოფითი პასუხი გასცა იმ შეკითხვას, მიაყენა თუ არა „ალფამ“ „მოსარჩელის კომპანიას“ არამართლზომიერად ზიანი. „მოსარჩელის კომპანიის“ უფლებიდან ნაწარმოებ უფლებაზე დაყრდნობით მოსარჩელე ველარ იდავებს „ალფას“ დედობი-

ლის დედობილი კომპანიის წინააღმდეგ (რომელსაც ველარ შეერაცხება ის ქმედება, რომელიც, როგორც დადგინდა, „ალფას“ არ ჩაუდენია), რადგან ეს არის იგივე დავა, იმავე საფუძვლით და მხარეთა ცვლილება არის მხოლოდ ფორმალური.

მაშინაც კი, თუ „მოსარჩელის კომპანიასა“ და „ალფას“ შორის დავაში, სასამართლოს, პირდაპირ არ უხსენებია კონდიქციური მოთხოვნები და ექსპლიციტურად არ გამოურიცხავს ისინი, ეს მოთხოვნები მაინც გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. გამომდინარე იქიდან, რომ „მოსარჩელის კომპანია“ ითხოვდა „ალფასაგან“ ფულად ანაზღაურებას მისი სავარაუდო უფლების ხელყოფის გამო და ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს ასევე უსაფუძვლო გამდიდრებისმიერ მოთხოვნაზე, კერძოდ, ხელყოფის კონდიქციაზე (სკ-ის 982-ე მუხლი), რადგან ეს წარმოადგენს სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხს და სასამართლომ მოსარჩელის ფაქტობრივი მოთხოვნა უნდა მოათავსოს ასევე ამ სამართლებრივ პრიზმაში.¹² ის ფაქტი, რომ სასამართლომ არც ერთი სიტყვით არ ახსენა ეს მოთხოვნა, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მან თავიდანვე გამორიცხა ის და სწორედ ეს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, რის გამოც ეს სასამართლოს მსჯელობის საგანი თავიდან ველარ გახდება.

ამგვარად, როგორც უკვე აღინიშნა, დავა იმ უფლებასთან დაკავშირებით, რომლის კიდეც ერთხელ სადავოდ ქცევასაც აპირებს მოსარჩელე, უკვე გადაწყვეტილია და ის სასამართლოს მსჯელობის საგანი ხელმეორედ ველარ გახდება.

IV. „ეროვნული მაკონტოლებლისათვის“ მიმართვა

მოსარჩელემ 2022 წელს განცხადებით მიმართა „ეროვნულ მაკონტროლებელს“ და მოითხოვა, „ალფას“ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონი-

¹² იხ. სარჩელის საგანთან დაკავშირებით: რუსიაშვილი, კაზუსი: „შპს მომარჯვებული ისარი“, შედარებითი სამართლის ჟურნალი 5/2021, 68-ე და მომდევნო გვერდები.

სძიებების განხორციელება, რადგან ამ უკანასკნელის ქმედებებს არამართლზომიერად მიიჩნევდა.

მოსარჩელის აღნიშნული მიმართვა წარმოადგენს მოქალაქის მიმართვას ადმინისტრაციული ორგანოსადმი და უნდა განისაჯოს ადმინისტრაციული სამართლის წესების მიხედვით და შესაბამისი მასშტაბით. „ეროვნული მაკონტროლებელი“ ამ შემთხვევაში არის ადმინისტრაციული ორგანო ზაკ-ის 21 ა) მუხლის გაგებით, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-მმართველობით უფლებამოსილებას.

1. სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიის დაუშვებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან

მოსარჩელე ზემოაღნიშნული განცხადებით „ეროვნულ მაკონტროლებელს“ სთხოვს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რევიზიას. კერძოდ, ის ამტკიცებს, რომ „ალფამ“ თავისი არამართლზომიერი მოქმედებით ზიანი მიაყენა „ბეტას“, რომელიც ანასხლეტი ზიანის სახით აისახა „მოსარჩელის კომპანიაზე“, როგორც მის პარტნიორზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ კომპანიის პარტნიორის (საბოლოო ბენეფიციარის), მოსარჩელის, დაზიანება. თუმცა სასამართლომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთხელ უკვე იმსჯელა „ალფას“ ამ ქმედებების შესახებ და ვერ ამოიკითხა მასში მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თავად პირველადი შემხებლობის მქონე პირის, „ბეტას“, მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ „ალფას“ ქმედებები არ იყო მართლსაწინააღმდეგო „მოსარჩელის კომპანიის“ მიმართ. შემდგომი აქტორის (ბენეფიციარის) მიმართ ეს ქმედებები, რომლებიც არ არის მართლსაწინააღმდეგო თავად „ბეტას“ მიმართ, ვერ იქნება დამოუკიდებლად მართლსაწინააღმდეგო. ამიტომაც, როდესაც მოსარჩელე „ეროვნული მაკონტროლებლისაგან“ ითხოვს „ალფას“ ქმედებების მართლზომიერების შემოწმებას, ის ამით რეალურად სთხოვს ადმინისტრაციულ ორგანოს, გადაამოწმოს და რევიზია გაუკეთოს სასამართლოს კანონიერ ძალაში

შესულ გადაწყვეტილებას, რაც ეწინააღმდეგება ამ ორგანოს ფუნქციას, საკონსტიტუციო მოწყობის პრინციპებს და დაუშვებელია.

მაშინაც კი, თუ მოსარჩელე მიუთითებდა იმაზე, რომ გარკვეული გარემოებების შესახებ ინფორმაცია მისთვის მხოლოდ ეხლა გახდა ცნობილი (რაც ფაბულიდან არ იკითხება), ეს ამ მოცემულობაში ვერაფერს შეცვლიდა, რადგან ამ ფაქტებზე დაყრდნობით მან ჯერ სასამართლოს უნდა მიმართოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება, სასამართლოს გარეშე, „ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე“ დაყრდნობით ამ გადაწყვეტილების რევიზია.

2. მოსარჩელე, როგორც არაუფლებამოსილი განმცხადებელი

ზაკ-ის 76 I ა) მუხლის მიხედვით, განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ ეს განცხადება წარადგინოს დაინტერესებულმა პირმა. ყველას არ აქვს უფლება განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე კოდექსის 2 I ბ) მუხლის მიხედვით კი, დაინტერესებულ პირად ითვლება პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

აქ მოსარჩელე აპელირებს მისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებების ხელყოფაზე „ალფას“ მხრიდან, რასაც, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, ადგილი არ ჰქონია და ეს დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. თუმცა, თეორიულადაც რომ დავუშვათ მოსარჩელის მოთხოვნის არსებობა „ალფას“ წინააღმდეგ, „ეროვნული მაკონტროლებელი“ მოსარჩელეს ამ სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების აღდგენაში ვერ დაეხმარება, რადგან ეს სასამართლოს ფუნქციაა, ხოლო სასამართლოსაკენ გზა კი მოსარჩელეს ჩაკეტილი აქვს (იხ. ზემოთ). ამიტომაც, „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიღებული ვერც ერთი აქტი ვერ იქნება მოსარჩელის სამოქალაქო-სამართლებრივ მდგომარეობაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის მქონე და, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ ჩაითვლება

დაინტერესებულ პირად, რომლის განცხადების საფუძველზეც უნდა წამოიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ეროვნული მაკონტროლებელმა“.

3. „ალფას“ კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მოქმედებების მიმართ

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მიმართ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი ნდობა, რომელიც გამორიცხავს ამ მოქმედებების უკუქცევისა და ორგანოს მხრიდან საპირისპიროს განხორციელების შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც ორგანოს ეს ქმედება თუ არსებული მდგომარეობა კანონსაწინააღმდეგო იყო. პირველ რიგში, ეს ეხება ადმინისტრაციულ აქტებს და სწორედ ეს შემთხვევაა კანონში მონესრიგებული, კერძოდ, ზაკ-ის 60¹ IV, V მუხლში. თუმცა კანონიერი ნდობა შეიძლება არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ასევე სხვა მოქმედების თუ უმოქმედობის მიმართაც.

ა) კანონიერი ნდობა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ

ზაკ-ის 60¹ IV მუხლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა, დაუშვებელია მისი ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.¹³ გამონაკლისის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მოცემული მუხლის შემდეგ ნაწილში განმარტებულია კანონიერი ნდობის შინაარსი: კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მან ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და ამ უკანონო აქტის ბათილად ცნობით მას მიაღდება ზიანი. მაშინაც კი, როდესაც კანონსაწინააღმდეგო აქტის ძალაში დატოვებით საფრთხე ექმნება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, მხარეს, რომელსაც ჰქონდა კანონიერი ნდობა ამ აქტის მიმართ, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა აუნაზღაუროს ამ ბათილად ცნობით მიყენებული ზიანი (ზაკ-ის 60¹ VI მუხლი, ნდობის დაცვის ჩანაცვლება ქონების დაცვით).

მოცემული ნორმები და ზემოთ აღწერილი რეგულატორული რეჟიმი აქტუალურია მოცემულ შემთხვევაშიც, რადგან „ალფა“ „ბეტას“ ქონების რეალიზაციას ახორციელებდა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მეთვალყურეობის ქვეშ. ამ პროცესის განმავლობაში პერიოდულად აწვდიდა მას შესაბამის ინფორმაციას და იღებდა მისგან შესაბამის ნებართვებს. ყველა ეს ნებართვა წარმოადგენდა აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც არ შეიძლება გაბათილდეს, პირველ რიგში, იმის გამო, რომ „ალფას“ გააჩნდა კანონიერი ნდობა მათ მიმართ – ამ ნდობიდან გამომდინარე განახორციელა ქონებრივი მნიშვნელობის მოქმედებები და ამ აქტების ძალაში დატოვებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა პირის (განმცხადებლის) კანონისმიერი უფლებებისა და ინტერესისათვის საფრთხის შექმნა არ იკითხება (ზაკ-ის 60¹ V). როგორც ზემოთ აღინიშნა, ის დანაკარგები, რომლებზეც მოსარჩელე აპელირებს, საერთოდ არ არის ანაზღაურებადი (იხ. ზემოთ) და ამის გამო ის ვერც ჩაითვლება „ხელყოფილ კანონისმიერ უფლებებად და ინტერესად“ მოცემული დანაწესის გაგებით. გარდა ამისა, სასამართლოს თავისი გადაწყვეტილება არ მიუღია „ეროვნული მაკონტროლებლის“ აქტების საფუძველზე და მათი გაუქმება ვერ იქნება გადაწყვეტილების გადახედ-

¹³ იხ. Martini, Die Aufhebung von Verwaltungsakten nach §§ VwVfG § 48 ff. VwVfG – Vertrauensschutz bei der Rücknahme (§ VwVfG § 48 VwVfG § 48 Absatz II, VwVfG § 48 Absatz III VwVfG), JA 2016, 832; OVG

Münster NVwZ-RR 2013, 252; VGH Mannheim VBIBW 3018, 36.

ვის საფუძველი, შესაბამისად, მოსარჩელის მდგომარეობა არ იცვლება იმისდა მიხედვით, „ეროვნული მაკონტროლებელი“ თავის ამ აქტებს გააუქმებს თუ არა.

რაც შეეხება ზაკ-ის 60¹ V 2 მუხლში ნახსენებ კანონიერი ნდობის გამორიცხვას (როდესაც კანონიერი ნდობა არ მოქმედებს), „უკანონო ქმედების“ ქვეშ იგულისხმება აქტით აღჭურვილი პირის უკანონო ქმედება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ (მაგ., ყალბი ცნობების მიწოდება „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“), რაც ფაქტულიდან არ იკითხება და რაზეც საერთოდ ვერ აპელირებს მოსარჩელე. უშუალოდ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება (ჰიპოთეტური დაშვების შემთხვევაშიც კი) ვერ გახდება „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ გამოცემული ინდ. აქტის გაბათილების საფუძველი, რადგან ზემოთ ხსენებულ დანაწესში იგულისხმება უკანონო ქმედება, აღჭურვილსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობაში, რაც სახეზე არ ყოფილა.

ბ) კანონიერი ნდობა „ეროვნული მაკონტროლებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და კონსულტაციის საფუძველზე

კანონიერი ნდობა არსებობს და უკავშირდება არა მხოლოდ ინდ. აქტს, არამედ ასევე ადმინისტრაციული ორგანოს სხვა ქმედებასაც, როგორც არის, მაგალითად, ორგანოს მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია, გაწეული კონსულტაცია თუ განგრძობადი უმოქმედობა გარკვეულ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან მიმართებით. თუ ადმინისტრაციული ორგანოს ამ ქმედებას პირი მიენდობა, განახორციელებს გარკვეულ ქონებრივ მოქმედებებს/ინვესტიციებს მასზე დაყრდნობით, ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება ჩამოერთვას უფლება, შეცვალოს ეს მდგომარეობა საპირისპირო ქმედების განხორციელების გზით.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პირს მიაწოდოს სრული, ცალსახა და სწორი ინფორმაცია, რათა ამ ინფორმაციის მიმღებმა მოახერხოს საკუთარი სამომავლო მოქმედებების ამის მიხედვით დაგეგმვა.¹⁴ თუმცა, ჩვეულებრივ, თუ პირი ახორციელებს ქონებრივ თუ სხვა მნიშვნელოვან დისპოზიციებსა და დაგეგმარებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიწოდებულ არასწორ ინფორმაციასა თუ კონსულტაციაზე დაყრდნობით, არ ხდება ამ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის შენარჩუნება, არამედ, ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კანონიერი ნდობის მქონე პირის მიმართ (ქონების დაცვა)¹⁵ – შესაბამისი პირი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, ეს ინფორმაცია თუ კონსულტაცია საერთოდ რომ არ გაეცა და არა ისეთ მდგომარეობაში ეს ინფორმაცია სწორი რომ ყოფილიყო.¹⁶ ზიანის ანაზღაურების ეს ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ იყო ვალდებული გაეცა შესაბამისი ინფორმაცია.¹⁷ თუმცა, მაგალითად, გერმანიაში, საჯარო სამართლის ცალკეულ სფეროებში, მაგალითად, როგორიცაა სოციალური სამართალი, აღიარებულია ე. წ. სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის/რესტიტუციის მოთხოვნა:¹⁸ გაურკვეველი და დაუხვეწავი სამართლებრივი რეგულაციების პირობებში, როდესაც მოქალაქეს სამართლებრივად გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ამასთან დაკავშირებით კვალიფიციურ რჩევას მიიღებს, აქ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ჩააყენოს პირი, რომელსაც მანამდე არასწორი კონსულტაცია გაუწია, ისეთ მდგომარეობაში, ეს კონსულტაცია სწორი რომ ყოფილიყო.¹⁹ იგივე უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არასწო-

¹⁴ BGH NJW 1991, 3027; BGH NJW 1990, 1042.

¹⁵ OLG Zweibrücken NVwZ-RR 2001, 79.

¹⁶ BVerwG NVwZ 2016, 248.

¹⁷ OLG Karlsruhe NZS 2013, 381; BGH NJW 2019, 68; BGH NVwZ-RR 2021, 671; VGH Kassel NVwZ-RR 2015, 779.

¹⁸ Ehlers/Vorbeck, Der Anspruch auf Erteilung von Verwaltungsinformationen – Teil 2, Jura 2015, 44.

¹⁹ BSG NZS 2005, 40.

რი რჩევის საფუძველზე გააშვებინებს მოქალაქეს შესაბამისი განცხადების წარდგენის ვადას.²⁰

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ „ალფას“ ჰქონდა მუდმივი კონტაქტი და ინფორმაციის მიმოცვლა „ეროვნულ მაკონტროლებელთან“, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „ბეტას“ აქტივების რეალიზაცია, მხოლოდ ეს ინფორმაცია (დამოუკიდებლად ზემოთ ხსენებული ადმინისტრაციული აქტების მიმართ ნდობისგან), რომელიც სრულად გაითვალისწინა „ალფამ“, უნდა იყოს საფუძველი ამ უკანასკნელის კანონიერი ნდობის დაცვისათვის, რის გამოც „ეროვნული მაკონტროლებელი“ შებოჭილია და ვერ განახორციელებს მის მიმართ არსებული მდგომარეობის შემცვლელ ღონისძიებებს.

გ) „პასიური თმენა“ როგორც კანონიერი ნდობის განმაპირობებელი

ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა²¹, ანუ, კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის პასიური თმენა, წარმოუშობს ამ თმენის შედეგად ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებულ პირს ნდობას (მოლოდინს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალშიც პასიური დარჩება და არ მიიღებს ზომებს ამ კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის აღსაკვეთად), თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მართლსაწინააღმდეგო მდგომარეობის მხოლოდ პასიურ თმენას გარკვეული ქმედებებიც მიამატა, საიდანაც შესაბამის პირს შეიძლება გაეკეთებინა დასკვნა, რომ ორგანო საერთოდ არ აპირებდა გააქტიურებას. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანო გასცემს უკანონოდ აშენებულ შენობაზე მიშენების ნებართვას, ამით ის აფუძნებს ვარაუდს, რომ მთლიანი შენობა სამშენებლო სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, რის შემდეგაც მისი დემონტაჟის განკარგულების გამოცემის უფლება

უკვე აღარ აქვს.²² ზუსტად ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ აქვს კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის აღმოფხვრის უფლება, თუ რაიმე ფორმით გაახმოვანა, რომ არ აპირებდა ჩარევას (მაშინაც კი, როდესაც სახეზე არ არის მისი ფორმალური დაპირება).²³ ამ შემთხვევაშიც კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის შენარჩუნებაზე მინდობილი პირის კანონიერი ნდობა გადანონის მისი აღმოფხვრის საჯარო თუ კერძო ინტერესს.

ყველა ეს ასპექტი გასათვალისწინებელია „ალფასა“ და „ეროვნულ მაკონტროლებელს“ შორის ურთიერთობაში. 2016 წელს „ალფას“ მიერ „ბეტას“ ქონების რეალიზაციის შემდეგ „ეროვნულმა მაკონტროლებელმა“ არაერთხელ დააფიქსირა, რომ მისთვის ეს მოქმედებები და მდგომარეობა სრულებით მისაღები იყო, იქნებოდა ეს „ალფას“ წლიური ანგარიშების (რომელიც, ამ რეალიზაციის შედეგად მიღებულ ამონაგებსაც მოიცავდა და ცალკე აფიქსირებდა) გაუპროტესტებლად მიღება, ამ რეალიზაციიდან ამონაგების განკარგვასთან დაკავშირებით მითითებების გაცემა და ა. შ., ყოველივე აღნიშნული განაპირობებდა „ალფას“ კანონიერ ნდობას, რის გამოც „ეროვნული მაკონტროლებელი“ მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს არსებული მდგომარეობა ან ზემოთ ხსენებული ქმედებებიდან გამომდინარე რაიმე ტიპის სანქციები განიხილოს „ალფას“ მიმართ (იმ ჰიპოთეტური დაშვების პირობებშიც კი, რომ „ალფას“ ქმედებები შეიძლება არ ყოფილიყო სრულებით მართლზომიერი, რაც ასე არ არის).

ამგვარად, მოსარჩელის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ „ეროვნულმა მაკონტროლებელმა“ გარკვეული ზომები მიიღოს „ალფას“ წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. მოსარჩელე არ არის დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული სამართლის გაგებით, რომელსაც ექნებოდა უფლება ამ განცხადებით მიემართა „ეროვნული მაკონტროლებლისათვის“; 2. ის „ეროვნულ მა-

²⁰ BVerwG NJW 2012, 168.

²¹ შდრ. OVG Münster NVwZ-RR 2009, 364, 366 ff.; VGH Mannheim ZUR 2008, 430, 432; OVG Münster NVwZ NVwZ-RR 2016, 851; *Beaucamp*, Duldungsentscheidungen im Verwaltungsrecht, DÖV

2016, 803 f.; *Sommer*, Zur behördlichen Duldung im öffentlichen Baurecht, JA 2017, 567 ff.

²² OVG NVwZ-RR 2012, 751.

²³ BVerfG NVwZ 2005, 203; OVG Koblenz, 8 A 11031/06.OVG v. 26.9.2006; OVG Koblenz BauR 2012, 630.

კონტროლებელს” სთხოვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების რევიზიას, რისი უფლება „ეროვნულ მაკონტროლებელს” არ აქვს; 3. „ალფას” აქვს „ეროვნული მაკონტროლებლის” ქმედებებიდან გამომდინარე კანონიერი ნდობა არსებული სტატუს-კვოს შე-

ნარჩუნების მიმართ, რაც ზემოთ ხსენებულისგან დამოუკიდებლად, თავისთავად გამორიცხავს „ეროვნული მაკონტროლებლის” მხრიდან რაიმე ფორმით არსებული მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობას.